აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№56 (25.080) ხუთშაბათი, 1 - 2 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 16 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

„წელს ველოდებით 4 მილიონზე მეტ ვიზიტორს“

- დინამიკა გვიჩვენებს, რომ წელს გვექნება უპრეცედენტოდ წარმატებული საზღვაო ტურისტული სეზონი, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ 30 მაისს გამართულ მთავრობის სხდომაზე.

2023 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტიორების რაოდენობა აჭარაში გაორმაგებულია. ტურიზმიდან და მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია 102%-ით. აქტიურად მიმდინარეობს რეგიონის პოპულარიზაცია. ბათუმის ტურისტულ შესაძლებლობებს ეცნობა BBC-ის, Euronews-ის, DW-ის მილიონობით მაყურებელი.

„რამდენიმე დღეში ოფიციალურად გაიხსნება ტურისტული სეზონი. მინდა ყველას მოგიწოდოთ, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ ნებისმიერი ხარვეზი და მაქსიმალურად წარმატებით, ეფექტიანად ჩავატაროთ საზღვაო ტურისტული სეზონი. ბათუმში არაერთი ისტორიული მნიშვნელობის საქმე გაკეთდა. განსაკუთრებით მოემზადა ჩვენი ქალაქი როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტიორების მისაღებად. მნიშვნელოვანია, რომ ეს ტემპი, დინამიკა კიდევ უფრო გავაძლიეროთ. მინდა აღვნიშნო, რომ წელს ველოდებით 4 მილიონზე მეტ ვიზიტიორს და, რა თქმა უნდა, ბათუმი იქნება ცენტრალური ამ საკითხში“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მთავრობის სხდომაზე რეგიონში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბათუმის სწრაფი განვითარების და ტურიზმის სფეროში არსებული დინამიკის ფონზე, უსუსურად გამოიყურება რადიკალური ოპოზიცია და მისი იაფფასიანი პროვოკაციები. თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ მთავრობა სტაბილურობის და მშვიდობის ფონზე მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სეზონის ეფექტურად ჩატარებას როგორც წელს, ისე მომავალში.

„რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას, ამ ყველაფრის ფონზე განსაკუთრებით უსუსურად გამოიყურება რადიკალური ოპოზიცია - „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი შესაბამისი დანაყოფები, აჭარის წარმომადგენლობა. ბუნებრივია ამ სიტუაციაში, კიდევ უფრო იმატებს მათი დესტრუქციული ქმედებები, იაფფასიანი პროვოკაციები, თუმცა ჩვენთვის მთავარია საქმე, ის ტემპი, დინამიკა, რაც აძლიერებს ჩვენს თითოეულ მოქალაქეს. ბუნებრივია, ჩვენი პასუხი ამ იაფფასიან მინიშოუპროგრამებზე არის ჩვენი საქმე. შესაბამისად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მიუხედავად არსებული პროვოკაციული მცდელობებისა, სეზონი იყოს წარმატებული“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ბათუმში დაგეგმილია ისეთი მნიშვნელოვანი და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებები, როგორებიცაა უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების გალა ღონისძიება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ბათუმის სტადიონი საერთაშორისო კონკურსში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მსოფლიოში საუკეთესო საჯარო შენობების კატეგორიაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

„განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ ევროპის 21 წლამდელთა ფეხბურთის ჩემპიონატის ფინალური მატჩები გაიმართება ბათუმის ახალ სტადიონზე. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღეში ჩვენ გვექნება შედეგები ძალიან პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსისა, სადაც ბათუმის სტადიონი წარდგენილია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საჯარო ინფრასტრუქტურა. ჩვენ ველოდებით შესაბამის შედეგებს“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ აჭარის მთავრობის სხდომაზე.

ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს მზადება საზღვაო ტურისტული სეზონისთვის. ,,მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, ასევე საკრებულოს იმ მნიშვნელოვანი პროექტების მხარდაჭერისთვის, რაც ბათუმში ხორციელდება. ბოლო წლების განმავლობაში სრულად განახლდა ავტობუსების პარკი. დაიწყო ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევის მოგვარება, რომელიც ეხება ავარიულ სახლებს. 3000-ზე მეტი ოჯახი მიიღებს ახალ, უსაფრთხო საცხოვრისს როგორც მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებში, ასევე კერძო სექტორის პროექტებში“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ბათუმში ავტობუსების პარკი თანამედროვე სტანდარტის ადაპტირებული ავტობუსებით განახლდა. ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს ავარიული სახლის პროგრამა, ვითარდება სამრეწველო ზონა, მიმდინარეობს 10 სკვერის მშენებლობა, ხოლო 2021-2022 წლებში 30-მდე სკვერი მოეწყო. ბათუმის ბოტანიკური ბაღი სეზონს ახალი ზიპლაინით და განახლებული ატრაქციებით ხვდება. ბულვარში ახლდება კოლონადები, წესრიგდება სკვერები და ატრაქციონები. გმირთა ხეივანში მწვანე დერეფნის მოწყობა ინტენსიურად მიმდინარეობს.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, პირისპირ შეხვედრები გამართა ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობების პირებთან: ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელთან, ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან და ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლასთან. გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ევროპარლამენტს სიტყვით მიმართა. „ჩვენი ევროპული არჩევანი არა მხოლოდ ლეგიტიმურია, მას ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან ის ემყარება ჩვენს ღირებულებას, ჩვენს ისტორიას, ჩვენს ბრძოლას, შემართებას, ჩვენს ხედვას ევროპული მომავლისთვის, საქართველო კვლავ შეუერთდეს თავის ევროპულ ოჯახს“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

ჩვენი ხელისუფლების ვალდებულებაა თქვენი შრომის ღირსეული დაფასება, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პოლიციელის დღესთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე. „თქვენ იმსახურებთ ყველაფერ საუკეთესოს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი მთავრობის თანადგომა და ძალისხმევა კიდევ უფრო გაძლიერდება და კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

ის, რაც პრემიერ-მინისტრმა ბრატისლავაში, გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე უკრაინაში ომის დაწყების მიზეზებთან დაკავშირებით თქვა, პირველად მას არ გაუუღერებია, - განაცხადა შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა. „ეს არაერთხელ უთქვამთ მსოფლიო ლიდერებს, დიდი სახელმწიფოს ლიდერებს და გაიმეორა პრემიერმა. სიმართლე თქვა, რასაც იმეორებდნენ სხვები, მათ შორის ზელენსკი“, - აღნიშნა შს მინისტრმა. ცნობისთვის: ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, უკრაინაში ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო ნატოს გაფართოება. აღნიშნულს ოპოზიციის და ევროპარლამენტარების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა.

* * *

პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს დეპუტატების - რომან გოცირიძის და ხატია დეკანოიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური ჯგუფის შექმნის შესაძლებლობას უფრაქციო დეპუტატებისთვის, რომლებმაც დატოვეს შესაბამისი პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიის წევრობა. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირა.

მოამზადა
ია შველიძემ

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.

სპორტული ინფრასტრუქტურა უმჯობესდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მთავარი პრიორიტეტია. სტადიონების აგებამ, სპორტული დარბაზების მოწყობამ საფუძველი დაუდო იმ წარმატებებს, რაც ქედელმა სპორტსმენებმა ბოლო დროს მოიპოვეს. ეს პროცესი გრძელდება.

მიმდინარე წელს დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გოგიაშვილებსა და ხარაულაში სპორტული მოედნების რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება. აქ შესაძლებელი გახდება ახალგაზრდებმა ითამაშონ როგორც ფეხბურთი, ასევე კალათბურთი და ფრენ-ბურთი.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი 5“ ასრულებს, რომელთა საერთო ღირებულება 234 433 ლარია.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ, მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გენადი ანანიძემ ორივე ობიექტზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს.

- სამუშაოები ხარისხიანად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს, - გვითხრა იმედა ვასაძემ.

მეხუთე მუნიციპალური კონფერენცია

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახევის რესურსცენტრის ორგანიზებით, მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის მეხუთე მუნიციპალური კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით „სკოლის მართვის საუკეთესო პრაქტიკა და სწავლების თანამედროვე მიდგომები“.

მისი მხარდამჭერები იყვნენ: აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი), შუახევის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაცია.

კონფერენციის მიზანი პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება და ინოვაციური მეთოდების დანერგვა სასწავლო პრაქტიკაში, მასწავლებელთა, ადმინისტრაციის წევრებისა და კლასის დამრიგებლების პროფესიული, პედაგოგიურ-პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება, პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სკოლის და კლასის მართვის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ინოვაციური მეთოდების დანერგვა, ადმინისტრაციის და კლასის დამრიგებლების პროფესიული განვითარება იყო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლების ფონდის დირექტორი სულიკო თებიძე, აჭარის განათლების ფონდის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მიმართულებით დირექტორის მოადგილე ლალი ლომთათიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, ბათუმის მასწავლებელთა სახლის მწვრთნელი მასწავლებლები. შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგები, სკოლის დირექტორები. სულ მონაწილეობა მიიღო 140-მა პედაგოგმა. მათგან 78-მა სხვადასხვა მიმართულებით საინტერესო მოხსენება წარმოადგინა.

კონფერენციაში მონაწილე მასწავლებლებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

- მისასალმებელია, რომ მუნიციპალური კონფერენციები მეტ მნიშვნელობას იძენს, მისი დანიშნულების ფორმებიც იხვეწება. პედაგოგები, სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სასკოლო რეფორმის შესაბამისად, კვალიფიციურ მოხსენებებს აკეთებენ. აზრთა, გამოცდილებათა გაზიარება მიმდინარეობს, - გვითხრა შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ.

ხვიჩა კვარაცხელიას გიგანტური გრაფიტი – ბათუმში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში ეფექტური ქუჩის მხატვრობა გამოჩნდა - შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის კედელზე ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია ბათუმის სტადიონის ფონზეა გამოსახული.

ქუჩის მხატვრობა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით, უეფას 21 წლამდელთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით მომზადდა, რაც სპორტული ტურიზმის, ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებასა და პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ნახატი 430 კვადრატული მეტრისაა. მასზე მხატვარი გიორგი გამეზარდაშვილი, მეტსახელად „გამეზა“ „სთრით არტ ფესტის“ გუნდთან ერთად 10 დღის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა.

აღნიშნულ მურალს დეპარტამენტი ბათუმის, როგორც სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის პოზიციონირებისა და სპორტული ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, სამივე ქვეყანაში აქტიურად გამოიყენებს.

ქალაქი ზაფხულის ფესტივალისთვის ემზადება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

3-4 ივნისს ბათუმი „ზაფხულის ფესტივალს“ უმასპინძლებს, რომლითაც აჭარაში საზღვაო ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნება.

ყველაზე ფერადი და საინტერესო ფესტივალი უცვლელი სლოგანით „ზაფხული იწყება აქ“ ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდება. ფესტივალის მუსიკალურ პროგრამაზე, რომელიც საღამოს 4 საათის შემდეგ დაიწყება, ქართველი შემსრულებლები, ბენდები და დიჯეები იზრუნებენ. მათ შორის იქნებიან ადგილობრივი და მოწვეული ბენდები „სალიო“, „არა“, „მონსტერ ლობსტერი“, LOUDSPEAKERS-ი, ნუცა ბუზალაძე, „ანიკი“, „ასეა სულ“, „ლურჯი იალქანი“ და სხვა.

დღის განმავლობაში იმუშავებენ ღია კაფე-ბარები, ზღვის სანაპიროზე გაიმართება ფრანების შოუ, 16:00 საათიდან კი ფესტივალზე მრავალფეროვანი სპორტულ-გასართობი აქტივობებია დაგეგმილი: დრამების შოუ, პანტომიმა, ავიაშოუ, საბავშვო აქტივობები, საცოცი კედელი, STREET ART-ი და სხვა გასართობი ღონისძიებები, რაც ყველა ასაკისა და კატეგორიის სტუმარზეა გათვლილი. გასული წლებისგან განსხვავებით, წელს ზაფხულის ფესტივალი ორ დღეს გაგრძელდება. მასზე დასწრება თავისუფალია.

ელექტროეტლი – შშმ პირს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

თემურ კეჟერაძე შუახევის მუნიციპალიტეტის კვირიაულის დასახლებაში ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინ მძიმე დაავადება გადაიტანა და დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შეუძლია. მან დახმარებისთვის უჩამბის თემის მაჟორიტარს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში როსტომ ლორთქიფანიძეს მიმართა, რომელმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ჩააყენა საქმის კურსში.

რეგიონის პირველმა პირმა მთავრობის თავმჯდომარის ფონდიდან თანხა გაიღო და შშმ პირს ელექტროეტლი შეუძინეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს წევრებთან ერთად, თემურ კეჟერაძეს ელექტროეტლი ბინაზე მიუტანა.

- რეგიონის პირველ პირსა და მაჟორიტარ დეპუტატს მადლობას ვუხდი გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისთვის, - გვითხრა თემურმა.

ამბები

პროექტის წარდგინება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს ლევან ბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პროექტ „დაცული გარემოს“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობების წარდგინება შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართეს.

კლუბის წევრებმა პროექტის ფარგლებში კვლევები ჩაატარეს. მთავარ მიმართულებად დასახლდა გარემოს დაცვის საკითხები. პროექტს კლუბის ლიდერმა ლაშა მახარაძემ და ხელმძღვანელმა ზვიად დიასამიძემ „ცვლილებებისთვის“ უწოდეს. მან გაიმარჯვა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში.

პროექტის მიზანია მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა გარემოს საკითხებში, არსებული სიტუაციის ანალიზი და შეფასება.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს კვლევაძიების და კომუნიკაციის უნარები, გაიღრმავეს ცოდნა გარემოს დაცვის საკითხებზე.

წარდგინების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. კითხვებს საკრებულოს ხელმძღვანელებმა უპასუხეს.

პროექტის მხარდამჭერები არიან შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ და USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა.

კლუბში მიიწვიეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 04

შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის საჯარო სკოლის მოსწავლეები USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში არიან ჩართულნი. ამ პროექტის ფარგლებში, თვითმმართველობის თავმჯდომარე ლინდა მუთიძემ, კლუბის

ლიდერმა ლიზა აბუსელიძემ, კურატორმა პედაგოგმა ნინო ფევაძემ, სკოლის კურსდამთავრებულები - წარმატებული ექიმი, უჩამბის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი იზოლდა აბუსელიძე და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე კლუბში მიიწვიეს.

ღონისძიება დიალოგის რეჟიმში წარიმართა. სტუმრებმა პასუხები გასცეს დამსწრეთა კითხვებს.

უჩამბის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბ „აისის“ პროექტის მონაწილე მოსწავლეები აქტიურად მუშაობენ. კურატორი პედაგოგის, სკოლის დირექტორ ჯემალ გამრეკელიძისა და სხვა პედაგოგების თანადგომით, პროექტს „პატარა ხეობა დიდი ისტორიით“ ახორციელებენ. იგი ითვალისწინებს ხეობის უხუცეს ადამიანებთან ვიზიტს, ღირსეული პიროვნებების, წარჩინებული კურსდამთავრებულების სკოლაში მოწვევას.

კანდიდატის სტატუსი – უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი წარმატების გზაზე

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები არაერთ კითხვას ბადებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით: მიმდინარეობს თუ არა არაოფიციალური საარჩევნო მარათონი, რა ხდება ოპოზიციაში, რა შანსი გვაქვს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად და რატომ გააქტიურდა რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში?

თუ ამ კუთხით შევხედავთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, სურათი არასახარბიელოა. ოპოზიცია მმართველ პარტიას ადანაშაულებს არასტაბილური პოლიტიკური გარემოსა და არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხელისუფლება ოპოზიციის დესტრუქციულობაზე საუბრობს და ასე გრძელდება წლიდან წლამდე, რაც ვნებს ჩვენს ევროპულ პერსპექტივას. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ანალიტიკოსები და პოლიტიკურ სპექტრს სახელმწიფოებრივი აზროვნებისკენ და შესაბამისი მოქმედებისკენ მოუწოდებენ.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწად-ნახევარი დარჩა, აშკარაა, რომ მიმდინარეობს პარტიების გადაჯგუფება, ზოგი ერთიანდება („დროა“, „გირჩი მეტი თავისუფლება“, „სტრატეგია აღმაშენებლი“), ზოგ პარტიაში („ნაცმოძრაობა“) ურთიერთდაპირისპირება მძაფრდება, „ლელო საქართველოსთვის“ კი დიდ ოპოზიციურ გაერთიანებაზე მსჯელობს, ოღონდ „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე. ეს არჩევნები იმითაცაა საყურადღებო, რომ გაიმართება მხოლოდ პროპორციული სისტემით, თუმცა საარჩევნო ბარიერი 5 პროცენტია. ისმის კითხვა: რამდენი პარტია მოხვდება საკანონმდებლო ორგანოში? ექსპერტები მმართველი პარტიის გათვალისწინებით, დაახლოებით, ოთხ პარტიას - „ნაცმოძრაობას“, „ლელო საქართველოსთვის“, „საქართველოსთვის“ და ტრიოს - „დროა“, „გირჩი მეტი თავისუფლება“ და „სტრატეგია აღმაშენებლი“ უწინასწარმეტყველებენ პარლამენტში მოხვედრას, თუმცა შეიძლება სიურპრიზების მოწმენი გავხდეთ. არავინ იცის, რა პროცესები განვითარდება ხვალ, ზეგ და მით უმეტეს, ერთი წლის შემდეგ. მაგალითად, პარლამენტარი გუბაზ სანიკიძე ამბობს, რომ შესაძლოა, მმართველი პარტია საარჩევნოდ ახალი შემადგენლობით წარსდგეს მოსახლეობის წინაშე. არც ის იქნება გასაკვირი, „ნაცმოძრაობა“ ორ ნაწილად დაიშალოს, ანდა ნიკა მელიამ ახალი პარტია შექმნას. „ნაცმოძრაობის“ ყოფილი ლიდერი ახალს მკაცრად აკრიტიკებს.

„ნიკა მელია უფრო „ნაცმოძრაობის“ კრიტიკითაა დაკავებული, ვიდრე არსებული ხელისუფლების მხილებით,“ - აღნიშნა „ნაცმოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა პეტრე ცისკარიშვილმა. უდავოა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გაყოფა უფრო დაასუსტებს როგორც ამ პარტიას, ასევე მთელ ოპოზიციურ ფლანგს. ხაბეიშვილის და მელიას გუნდების წევრები ერთმანეთს არ ინდობენ. ეს უკანასკნელი პარტიაში მერაბიშვილის გავლენებზე საუბრობს, რაც, მისი თქმით, პარტიას არჩევნებზე დააზარალებს. „ლელო საქართველოსთვის“ დიდი ოპოზიციური გაერთიანების შესახებ კონსულტაციების დაწყებას აპირებს, ოღონდ „ნაცმოძრაობის“ გარეშე. ცალკე აქტიურობს სამთა კავშირი („დროა“, „გირჩი მეტი თავისუფლება“, „სტრატეგია აღმაშენებლი“). თავის მხრივ არასაპარლამენტო ოპოზიცია, ძირითადად, „ლეიბორისტული პარტია“ რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ითხოვს და მოუწოდებს საპარლამენტო ოპოზიციას, დატოვოს პარლამენტი, რათა ქვეყანაში მძლავრი საპროტესტო ტალღა აგორდეს ხელისუფლების წინააღმდეგ. „ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს რევოლუციის, ეს ხელისუფლება ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედებს“, - აცხადებს მარად ოპოზიციონერი შალვა ნათელაშვილი.

მოსალოდნელ დესტაბილიზაციასა და ეროვნულ დაუმორჩილებლობაზე კვლავ აქტიურად საუბრობენ. ვის აძლევს ხელს, რომ ქვეყანაში არასახარბიელო მოვლენები განვითარდეს, ჯერჯერობით უცნობია. ზოგი ამას ხელისუფლების უნიათობას მიაწერს და თვლის, რომ მის მიერაა გაპიარებული ასეთი განცხადებები. მრავალთა აზრით, დესტაბილიზაცია ზოგიერთი პარტიის ინტერესებში შედის, ზოგიც ამაში რუსეთის თვითმიზანს ხედავს, ნათლად კი ის ჩანს, რომ ხელისუფლების შენარჩუნებისა თუ ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლა სულ უფრო პრიორიტეტული ხდება. წარსულის ანალოგიები, ნებსით თუ უნებლიეთ, თავს გვახსენებს და ღმერთმა დაგვიცვას ახალი არეულობისგან, 1991-92 წლების სამოქალაქო ომის შედეგები ხომ ახლაც საგრძნობია.

> ***„საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რაც იქნება ნიშანი, რომ ევროკავშირს არ მიუტოვებია ქართველი ხალხი. სტატუსის არმიცემით არაფერი შეიცვლება უკეთესობისაკენ, მეტიც, ეს გაზრდის ხალხის ნიჰილიზმს... ჩემი ღრმა რწმენით, სტატუსი ეკუთვნის არა ხელისუფლებას, არამედ ხალხს, რომელმაც ეს ნამდვილად დაიმსახურა“***

როგორც ვთქვით, საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწად-ნახევარი დარჩა და ძნელია პროგნოზი, თუმცა გარკვეული დასკვნის გაკეთება შეიძლება. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია არჩევნებზე მოსახლეობის რა რაოდენობა მივა. თუ მოსახლეობამ ინერტულობა გამოიჩინა, ეს მმართველი გუნდისთვის იქნება ხელსაყრელი...

განვიხილოთ მთავარი აქტორები ქართული პოლიტიკისა. დავიწყოთ მმართველი გუნდით - „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მეთერთმეტე წელია. მან არჩევნები 2012, 2016 და 2020 წლებში მოიგო, მაშინ და ჯერჯერობით ახლაც მისი მთავარი მოწინააღმდეგე „ნაცმოძრაობაა“, თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. „ნაციონალური მოძრაობა“ ორ ნაწილად დაიშალა. „ძველმა გვარდიამ“ პარტია „ევროპული საქართველო“ შექმნა, რომელმაც ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში ფიასკო განიცადა. თავის მხრივ მმართველ ძალასაც შეექმნა პრობლემები. მას გამოეყო „რესპუბლიკელები“, „ფორუმი“, შემდეგ პარტია დატოვა ძველი შემადგენლობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა - დავით ჭიჭინაძემ, ეკა ბესელიამ, ზვიად ძიძიგურმა... ასევე, თანამდებობა დატოვა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, რომელიც ერთ დროს მმართველი გუნდის მძლეთა მძლე მინისტრი იყო, მაგრამ მათი გზები გაიყო... ახლა ის ყოფილ თანაგუნდელებს მკაცრად აკრიტიკებს, რაც ქართულ პოლიტიკაში არახალი ამბავია...

გარდა ამისა, მმართველ გუნდს სულ უფრო აკრიტიკებს მთელი ოპოზიციური სპექტრი. მეტწილად ეს გამოიწვია საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებამ. ამ მხრივ დასავლეთმაც გამოთქვა შეშფოთება. მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ანგარიშგასაწევი ძალაა. თუ სოციოლოგიურ გამოკითხვებს დავეყრდნობით, მმართველი პარტიის რეიტინგი 35 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც ცუდი მაჩვენებელი არ არის. ამას თუ დავუმატებთ ოპოზიციის გათიშულობას და ადმინისტრაციულ რესურსს, მაშინ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში პირველი ადგილის დაკავება არ გაუძნელდება, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება (მაჟორიტარები აღარ აირჩევიან) არაფერს ნიშნავს, რადგან თუ 51 პროცენტს ვერ მიიღებს, მთავრობის ჩამოყალიბება გაჭირდება. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მომავალ არჩევნებს „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად მოიგებს, ხოლო „ნაცმოძრაობა“ სრულ ფიასკოს განიცდის, რაც, მისი თქმით, ქართული პოლიტიკისთვის პოზიტიური იქნება.

მიმოვიხილოთ ოპოზიციური ძალები და მათი შანსები. ამ კუთხით მთავარი აქტორი „ნაცმოძრაობაა“, მისი ამომრჩეველი 2014 წლიდან დღემდე მატულობს, თუმცა მის რეიტინგს, გარკვეულწილად, სააკაშვილის ფაქტორი განაპირობებდა, მას შემდეგ, რაც იგი საპატიმროშია და ქართულ პოლიტიკას ჩამოშორდა, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი არჩევნებზე როგორი იქნება, ძნელია თქმა. მით უმეტეს, როცა პარტიაში მძაფრი ურთიერთდაპირისპირებაა. ექსპერტები ხუთპროცენტიანი ბარიერის დაძლევას რამდენიმე პარტიას უწინასწარმეტყველებენ, რაზეც წერილის დასაწყისში ვისაუბრეთ. ამ მხრივ ისმის კითხვა: არჩევნები კვლავ ორპოლუსიანი იქნება, თუ ჰორიზონტზე გამოჩნდება ახალი მესამე ძალა? „ლელო საქართველოსთვის“ წევრები აცხადებენ, რომ მესამე ალტერნატიული ძალა მათი პარტიაა... მსგავსი არაერთი განცხადება მოგვისმენია, მაგრამ შედეგი არ ჩანს, არადა, მესამე ძალა ამერიკის შეერთებული შტატებიდან არ მოვა, აქ უნდა შეიქმნას, თუმცა არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მესამე ძალის ჩამოყალიბება არარეალურია. გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის,“ მიუხედავად იმისა, რომ მესამე ადგილი დაისაკუთრა არჩევნებში, ჯერჯერობით ანგარიშგასაწევი ძალა ვერ გახდა. ოპოზიციის ნაწილი მას კეთროვნად აღიქვამს, ხელისუფლება მოღალატედ მიიჩნევს. სამწუხაროდ, ვერც პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ შეძლო ჯერჯერობით რეალურ მესამე ძალად ჩამოყალიბება. როგორც ექსპერტები აცხადებენ, არჩევნების ბედს, გარკვეულწილად, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება განსაზღვრავს. ქვეყნის პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებისთვის მუშაობენ და სტატუსის მიღების იმედიც აქვთ. ოპოზიცია ეჭვის თვალით უყურებს ხელისუფლების ოპტიმიზმს ამ მიმართებით. დასავლეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ დღეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კანდიდატის სტატუსი და პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ანტიდასავლური რიტორიკა გაჩაღდება, სწორედ ამის შესახებ საუბრობს ანალიტიკოსი გიორგი კობერიძე:

„საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რაც იქნება ნიშანი, რომ ევროკავშირს არ მიუტოვებია ქართველი ხალხი. სტატუსის არმიცემით არაფერი შეიცვლება უკეთესობისაკენ, მეტიც, ეს გაზრდის ხალხის ნიჰილიზმს... ჩემი ღრმა რწმენით, სტატუსი ეკუთვნის არა ხელისუფლებას, არამედ ხალხს, რომელმაც ეს ნამდვილად დაიმსახურა“, - განაცხადა მან გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში. ამ მიმართებით, ცხადია, პუტინი პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის გაზრდას შეეცდება, იგი თავისი გეგმების მაქსიმუმს გააკეთებს. ამიტომ საკმაოდ რთული პერიოდი გველოდება. რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. უფრო მეტად უნდა შევახსენოთ მსოფლიოს ჩვენი პრობლემები, რათა კრემლის აგრესიის სამიზნე აღარ გავხდეთ.

როგორც ვხედავთ, მართლაც, უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი, საშინაოც და საგარეოც. ამ ეტაპზე უმთავრესი მაინც დასავლეთთან მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობა და ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფაა, ურომლისოდაც სახელმწიფო ვერ განვითარდება. ცხადია, ნებისმიერ პარტიას აქვს უფლება, კონსტიტუციის ჩარჩოში იმოქმედოს. რაც მთავარია, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ჯანსაღი პოლიტიკური გარემო, არავის უნდა ეშინოდეს ხელისუფლებიდან წასვლის, ყველა უნდა მიეჩვიოს, რომ ხელისუფლება ცვალებადია და მის სათავეში ყოფნა პრივილეგია კი არა, მაღალი პასუხისმგებლობაა, რომელიც ღირსეულად უნდა ატარო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკურმა სპექტრმა სახელმწიფოებრივად უნდა იზრუნოს და იმოქმედოს, ეს აუცილებელი მოთხოვნა და წარმატებისაკენ მიმავალი გზაა.

უცხოეთი

უკრაინისგან დაღლილობა დასავლეთში არ არსებობს, მხარდაჭერა მხოლოდ იზრდება, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისი თქმით, ალიანსის მოკავშირეებში, ევროპასა და აშშ-ში ჯერ კიდევ არსებობს ძლიერი მრავალპარტიული მხარდაჭერა და უკრაინისთვის დახმარების თაობაზე განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ასეთი პოლიტიკური ნება ნარჩუნდება.

* * *

ჩვენ არ ვუჭერთ მხარს რუსეთის შიგნით თავდასხმებს. სულ ეს არის. წერტილი, - ამ სიტყვებით გამოეხმაურა თეთრი სახლი მოსკოვზე დრონებით განხორციელებული თავდასხმის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. მათივე განცხადებით, ჯერ კიდევ აგროვებენ ცნობებს მომხდართან დაკავშირებით. მოსკოვში დრონებით განხორციელებული თავდასხმის თაობაზე რუსეთის ხელისუფლებამ ამ დღეებში განაცხადა და მომხდარზე პასუხისმგებლობა კიევს დააკისრა. კრემლის ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად რამდენიმე შენობა უმნიშვნელოდ დაზიანდა და ორი ადამიანი მსუბუქად დაშავდა. გარდა ამისა, გუშინ რუსეთის ბელგოროდის ოლქის გუბერნატორმა განაცხადა, რომ ქალაქ შებეკინოს დაბომბვის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა, დაზიანებულია საცხოვრებელი შენობები და ავტომობილები. დრონებით იერიში განხორციელდა კრასნოდარის მხარეში, აფიპსკის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზეც.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა თურქეთს მოუწოდა, დაუყოვნებლივ დაასრულოს შვედეთის ნატოში გაწევრიანების პროცედურა. როგორც მან აღნიშნა, შვედეთმა უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები წევრობასთან დაკავშირებით ანკარის წინააღმდეგობების გადასაჭრელად. „დრო დადგა და არ არსებობს მიზეზი, რომ წინ არ წავიწიოთ. ეჭვი არ გვეპარება და მოველით, რომ ასე იქნება“, - აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა. თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რეჯეფ თაიფ ერდოღანს აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ფინეთის საკითხზე ტელეფონით ესაუბრა.

* * *

საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა სერბებსა და კოსოვოელებს დაძაბულობის დაუყოვნებლივ და უპირობოდ განმუხტვისკენ მოუწოდა. როგორც მან აღნიშნა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები განიხილავენ შესაძლო ნაბიჯების გადადგმას, თუ მხარეები გააგრძელებენ წინააღმდეგობის გაწევას დეესკალაციის შეთავაზებული ნაბიჯებისთვის. ვითარება კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში 29 მაისს, დილიდან გამწვავდა. მუნიციპალური შენობების წინ რამდენიმე ასეული სერბი შეიკრიბა და კოსოვოს პოლიციისა და ახალარჩეული ალბანელი მერების გაყვანა მოითხოვა. სერბმა მომიტინგეებმა ნატოს ჯარისკაცების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და ხმოვანი ყუმბარები გამოიყენეს. ეთნიკურ სერბებსა და ნატოს სამშვიდობო ძალებს შორის შეტაკების შედეგად, ნატოს 30 ჯარისკაცი დაშავდა, ხოლო სერბეთის მხრიდან - 50-ზე მეტი ადამიანი. სერბ დემონსტრანტებთან მომხდარი შეტაკებების გამო, ნატომ ჩრდილოეთ კოსოვოში, დამატებით, 700 სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა. ალიანსი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანს სარეზერვო ძალების კიდევ ერთ ბატალიონს.

მოამზადა
ია შველიძემ

ყველაფერი – ქუნთრუშის შესახებ

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ქუნთრუშა, ძირითადად, ბავშვთა ასაკის ინფექციური დაავადებაა, მოსახლეობა მას „ბატონების“ სახელითაც მოიხსენიებს. 3 წლამდე და 15 წლის ასაკის შემდეგ იგი იშვიათად გვხვდება. ამჟამად ბავშვებში ქუნთრუშის შემთხვევების საკმაოდ მკვეთრი მატებაა, შესაბამისად, მოსახლეობას ამ დაავადებასთან დაკავშირებით ბევრი შეკითხვა აქვს

აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ **მაია ბუწაშვილს** *რამდენიმე კითხვით მივმართეთ.*

- რა იწვევს ქუნთრუშას?

- ქუნთრუშას იწვევს ბაქტერია, რომელსაც ჰქვია სტრეპტოკოკი. მოგეხსენებათ, სტრეპტოკოკი არ არის მხოლოდ ქუნთრუშის გამომწვევი, მას შეუძლია გამოიწვიოს სხვა დაავადებებიც, მაგალითად ანგინა, წითელი ქარი, ანუ კანის ინფექცია, ლიმფური კვანძების ინფექცია, ფილტვების ანთება... სტრეპტოკოკი გადაეცემა წვეთების გზით და, მჭიდრო კონტაქტის შემთხვევაში. განსაკუთრებით ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებაში ხშირია მისი გადაცემა, შესაბამისად საბავშვო ბაღებში, სკოლებში ქუნთრუშის აფეთქებები საკმაოდ ხშირია.

- კონტაქტიდან რამდენ ხანში ვლინდება ქუნთრუშა?

- ინფიცირებულ პაციენტთან კონტაქტიდან შეიძლება ძალიან სწრაფად დაიწყოს დაავადება - თორმეტ საათში და შეიძლება შვიდი დღის შემდეგაც გამოვლინდეს.

- როგორ ხდება ქუნთრუშის დიაგნოსტიკა?

- დიაგნოსტიკა ხდება ხახის ნაცხით. შეიძლება გაკეთდეს სტრეპტოკოკის სწრაფი ტესტი და, ასევე, ხახის ნაცხის ბაქტერიოლოგია. ბაქტერიოლოგიური კვლევით შესაძლებელია ასევე დადგინდეს - ბაქტერია რა ანტიბიოტიკებზეა მგრძნობიარე ან რომელი ანტიბიოტიკი მოქმედებს მასზე, თუმცა ხშირად სიმპტომებითაც შესაძლებელია ქუნთრუშაზე ეჭვის მიტანა, განსაკუთრებით, თუ ტიპური შემთხვევებია, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სიმპტომებით ძალიან რთულია დიაგნოსტიკა და აუცილებელია ლაბორატორიულად დადასტურება.

- რა სიმპტომები ახასიათებს ქუნთრუშას?

- წამყვანი სიმპტომებია: ყელის ტკივილი, ტემპერატურის მომატება, გამონაყარი, კისრის და ლიმფური კვანძების გადიდება და ძალიან სპეციფიკური სიმპტომია „ჟოლოსებრი ენა“, ანუ ენაზე არის პატარა წამონაზარდები და ძალიან ჰგავს ჟოლოს, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ზოგჯერ დაავადება სრულიად არატიპურად მიდის და შეიძლება მსგავსი რამ საერთოდ არ აღინიშნებოდეს. გამონაყარიც ატიპური იყოს და სხვა. ცხელებას რაც შეეხება, ქუნთრუშას განსაკუთრებულად მაღალი სიცხე ახასიათებს, ზოგჯერ 39-40 გრადუსამდეც და ეს შეიძლება 4-5 დღე გაგრძელდეს. როგორც წესი, იწყება სიცხით, ანუ ტემპერატურის მომატებით და ერთ-ორ დღეში დაერთვის გამონაყარი. გამონაყარი კისრის მიდამოდან იწყება, ვრცელდება სხეულზე და შემდეგ კიდურებზე. სახეზე, როგორც წესი, ნაკლებად ახასიათებს, თუმცა აწითლებული ლოყები ტიპურია ქუნთრუშისთვის, ასევე, სპეციფიკური სიმპტომია ტუჩის ირგვლივ კანის სიფერმკრთალე. აქვე დავამატებ, მცირე ასაკის ბავშვებში შეიძლება ღებინება და მუცლის ტკივილიც ახასიათებდეს.

> ***„წამყვანი სიმპტომებია: ყელის ტკივილი, ტემპერატურის მომატება, გამონაყარი, კისრის და ლიმფური კვანძების გადიდება და ძალიან სპეციფიკური სიმპტომია „ჟოლოსებრი ენა“, ანუ ენაზე არის პატარა წამონაზარდები და ძალიან ჰგავს ჟოლოს, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ზოგჯერ დაავადება სრულიად არატიპურად მიდის და შეიძლება მსგავსი რამ საერთოდ არ აღინიშნებოდეს***

- რამდენ ხანს არის ქუნთრუშის მქონე ადამიანი გადამდები და ჭირდება თუ არა იზოლაცია დაავადებულს?

- ქუნთრუშის მქონე ადამიანი, რა თქმა უნდა, გადამდებია, როგორც ვთქვი, წვეთების საშუალებით ვრცელდება, თუმცა ანტიბიოტიკების დაწყებიდან 24 საათში აღარ არის ადამიანი გადამდები და შეიძლება კონტაქტი ჰქონდეს სხვა ადამიანებთან, ამიტომ ამის შემდეგ იზოლაციას აღარ საჭიროებს.

- შეიძლება თუ არა ქუნთრუშა თავიდან დაგვემართოს?

- დიახ, ეს შესაძლებელია, ხშირი არ არის, მაგრამ ქუნთრუშის განმეორებითი შემთხვევები გვხვდება. ვინაიდან სტრეპტოკოკის კონკრეტულად იმ ქვეტიპის მიმართ გამოუშავდება იმუნიტეტი და შეიძლება სხვა ქვეტიპით დაინფიცირდეს ადამიანი.

- ძირითადად რა ასაკში ემართებათ ქუნთრუშა?

- ყველაზე ხშირია ქუნთრუშა 5-დან 15 წლის ასაკამდე ბავშვებში, თუმცა მოზრდილებშიც გვხვდება და ამჟამად მოზრდილები არცთუ ისე იშვიათად არიან პაციენტები. იშვიათია 3 წლამდე ასაკის ბავშვებში.

- რამდენად განკურნებადია ეს დაავადება?

- ქუნთრუშა ანტიბიოტიკებს ძალიან კარგად ემორჩილება. ძირითადად პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკები ინიშნება (საშუალოდ 10 დღე) და აუცილებელია, რომ პაციენტმა ბოლომდე მიიყვანოს ექიმის დანიშნულება. ანტიბიოტიკამდე ერაში ქუნთრუშა საკმაოდ მძიმე დაავადება იყო, ლეტალობაც ახასიათებდა - 15-20%-მდეც კი. ამჟამად ანტიბიოტიკებმა ეს პრობლემა მოაგვარა და შედარებით მსუბუქი დაავადებების რიცხვში გადაიყვანა ქუნთრუშა.

- რა გართულებები შეიძლება ჰქონდეს ქუნთრუშას?

- როგორც წესი, ანტიბიოტიკების ფონზე კარგად მიმდინარეობს დაავადება, კეთილსაიმედოდ. 4- 5 დღეში ფაქტობრივად იკურნება, თუმცა არსებობს გართულებებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, გლომერულონეფრიტი (თირკმლის მხრივ გართულება), შესაძლებელია გართულდეს ფილტვების ანთებით, მენინგიტით და ერთ-ერთი სიმპტომი, ამას გართულებას ვერ დავარქმევ, რაც ყურადღებას იქცევს და მშობლებს აშინებს, არის ქუნთრუშის გადატანის შემდეგ კანის აქერცვლა. ეს ერთ-ერთი ტიპური სინდრომია და არ უნდა შეეშინდეს პაციენტს. გამონაყარის შემდეგ კანის აქერცვლა საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობს. ზოგჯერ შეიძლება, ასევე დარჩეს საკმაოდ დიდხანს შეშუპებაც, მაგალითად კიდურების შეშუპება, თუმცა ამ დროს, რა თქმა უნდა, სამედიცინო დახმარება მაინც აუცილებელია, რომ გამოირიცხოს რაიმე უფრო სერიოზული დაავადება.

1 ივნისი – ფერადი დღესასწაული ჩვენი პატარებისთვის

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ბათუმი ყოველ წელს მრავალფეროვანი ღონისძიებებით ხვდება. ქალაქის მერია ამჯერადაც ფერად დღესასწაულს ჰპირდება ჩვენს პატარებს

დღეს ბათუმის ცენტრალური პარკისა და დელფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიას 12 საათიდან მთელი დღის განმავლობაში ზღაპრულ გარემოდ აქცევს სხვადასხვა საინტერესო აქტივობა.

ბავშვებს სადღესასწაულო განწყობას შეუქმნიან ზღაპრის გმირები, ჯამბაზები, გაიმართება სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი ღონისძიება, ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა და თამაშები. სადღესასწაულოდ მორთულ სივრცეში განთავსებულია სტენდები, რომლებზეც პატარები იხილავენ საყვარელი მულტფილმების პოპულარულ გმირებს.

12:00-დან 18:00 საათამდე ბათუმში მოქმედი საბავშვო სტუდიები და ანსამბლები შესანიშნავ კონცერტს შესთავაზებენ მსურველებს, 18:30 საათზე კი „რანინას“ კონცერტი გაიმართება.

სპორტულ ცენტრში (ლადო ასათიანის ქ. №27) საბავშვო გასართობი აქტივობები 10:30 საათზე იწყება - სპორტული ესტაფეტები, ფერადი საპნის შოუ ზღაპრის გმირების მონაწილეობით, ყინულის ცენტრში კი გრანდიოზულ გალაკონცერტსა და ფეერიულ სანახაობას ბავშვებს 11:00 საათზე სთავაზობენ მოციგურავეებისა და საყვარელ ბლოგერ ემილის მონაწილეობით.

შეგახსენებთ: ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1949 წლის ნოემბერს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დააწესა. 1950 წლიდან იგი 1 ივნისს ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ახალი ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, დღეს, უკრაინაში რუსეთის აგრესიისა და ამ სამხედრო დაპირისპირების მსოფლიო ომში გადაზრდის საფრთხის ფონზე განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩნდება ბავშვთა დაცვის საკითხი. პირველი ივნისი ყველაზე მკაფიო გაფრთხილებაა, რომ ომი, ძალადობა უდიდესი განსაცდელია უპირველესად, პატარებისთვის და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მათ მასობრივი სისხლისღვრა, ნგრევა, უბედურება (რასაც ომი ჰქვია) და მისგან გამოწვეული შედეგები ავარიდოთ.

მარი მიდასელი

ბსუ–ის ახალგაზრდული სივრცე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში SDG - ახალგაზრდული სივრცე გაიხსნა, რომელიც გაეროს წარმომადგენელმა საქართველოში საბინე მახლმა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა გახსნეს

- აღნიშნული სივრცის მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერა და ახალგაზრდებისთვის ისეთი აქტივობების შეთავაზება, რომელიც მათ თანამედროვე სამყაროს გამოწვევების საპასუხოდ ახალ უნარებს გამოუმუშავებს, - აღნიშნა მერაბ ხალვაშმა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ჰიბრიდული კურსის პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის საკითხებსა და ტრენინგებს. ჰიბრიდული კურსის ტრენინგები ახალგაზრდას ჩამოუყალიბებს უნარს, ჩაერთოს ქვეყნის განვითარების პროცესში, რაც ითვალისწინებს ლობირებას, ადვოკატირებას, პროექტის შედგენას, პროექტის მართვის საბაზისო უნარებს, სოციალურ მეწარმეობასა და ბიზნესგეგმის მომზადებას. ახალგაზრდული სივრცე განათლებისა და საერთაშორისო განვითარების აკადემიისა და გაეროს წარმომადგენლობის თანამშრომლობით გაიხსნა.

- მოხარული ვარ, რომ ბათუმში ვიმყოფები, სასიამოვნოა, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, გაგვეხსნა მდგრადი განვითარების მიზნების სივრცე სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება, შეიკრიბონ, ჰქონდეთ დისკუსიები და განიხილონ მდგრადი განვითარების მიზნები, რომელიც 2030 წლისთვის უნდა იქნას მიღწეული, - განაცხადა გაეროს წარმომადგენელმა საქართველოში საბინე მახლმა.

„ქვეყნის სიყვარულია კანონების, ტრადიციების პატივისცემა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***თამაზ ფუტკარაძე,*** *რომელიც წლებია, ნაყოფიერ მეცნიერულ და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, წელს თანახელობელებმა „საპატიო მარეთელად“ აირჩიეს. იგი ჩვენი სტუმარია.*

- ბატონო თამაზ, რა როლს ანიჭებთ ადგილის დედას?

- ჩემი მშობლიური სოფელი მარეთის ხეობის ყველაზე მაღალმთიანი დასახლება წელათია. სამწუხაროა, რომ სოფელი იცლება მოსახლეობისგან. ადგილის დედის კულტი ოდითგანვე იყო საქართველოში, მისდამი მიძღვნილი დღესასწაულები იმართებოდა სხვადასხვა კუთხეში. გაზაფხულზე ქალები ფეხშიშველი ჩამოივლიდნენ სოფელს, მიდიოდნენ ყველა ოჯახში ფერხულის ცეკვითა და სიმღერით: „დიდება და ღმერთსა დიდება“. მართალია, ამ სიტყვებში არაა მოხსენებული ადგილის დედა, მაგრამ ეს დღესასწაული მისთვის იმართებოდა.

- თქვენი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ზაურ ფუტკარაძის ავტორობით გამოიცა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომი „წელათი“. რა ადგილს იჭერს ეს ნაშრომი თქვენს საქმიანობაში?

- ადგილის დედის სიყვარულმა განაპირობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომის „წელათის“ გამოცემა. თავდაპირველად, გათვალისწინებული გვქონდა წიგნის გამოცემა „შიგა მოხმარებისათვის“ - მხოლოდ ამ სოფლის მკვიდრთათვის, თუმცა მონოგრაფია გასცდა „სოფლის მოთხოვნილების“ ფარგლებს და მრავალ სხვა ოჯახსა და ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა. ცხადია, ამ მონოგრაფიას ჩვენს საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

- მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი მიუძღვენით აჭარის მთიანეთიდან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დამკვიდრებულებს, მიგრაციის პროცესებს. რაა მთავარი ამ ეტაპზე, რომ აჭარის მთიანეთის სოფლებში ოჯახები შეგინარჩუნოთ?

- რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი სოფლები იცლება. ეს ტენდენცია მარტო საქართველოსათვის არაა დამახასიათებელი. ასეა ევროპაში, მეზობელ თურქეთში. იმერხევის სოფლები, ფაქტობრივად, დაცარიელებულია. თითქმის არც ერთ სოფელში აღარ მუშაობს სკოლა. ეს ემუქრება ჩვენს სოფლებსაც. სოფლების დაცლას ხშირად ეკონომიკური ფაქტორებით ხსნიან, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დღევანდელ სოფლებში ცხოვრების გაცილებით უკეთესი შესაძლებლობაა, ვიდრე ქალაქად. ყველა ჩვენგანი წუხს სოფლების დაცარიელების გამო, გვინდა სოფლები შევინარჩუნოთ სხვის ხარჯზე, უკან დაბრუნებაზე კი არავინ ფიქრობს. რამდენიმე წლის შემდეგ ჩემს სოფელში აღარავინ დარჩება. ეს სამწუხარო რეალობაა.

- თავის დროზე გარკვეული მოსაზრებები, წინადადებები გქონდათ თრიალეთის ზეგანზე, კერძოდ, წალკაში, ქართული სკოლების აღდგენასა და ქართულ მიწაზე ქართველების დამკვიდრებაზე...

- თრიალეთში, სამცხეში, ჯავახეთში ქართველების ჩასახლებას ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმე ისეთივე ენთუზიაზმით აღარ გაგრძელდა. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ამ საქმეში დიდი იყო იმყამინდელი ხელისუფლების, პირადად ედუარდ შევარდნაძის, ასევე, ჯუმბერ პატიაშვილის წვლილი. შემდგომში ეს საკითხი პრაქტიკულად მოიხსნა დღის წესრიგიდან, შესუსტდა, საერთოდაც გაქრა საზღვრისპირა რეგიონებში ქართველების ჩასახლების თემა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ჩასახლებულთა დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა.

- შემოქმედებითი ინტელიგენცია თუ იჩენს ყურადღებას წალკის, თუნდაც ჯავახეთის ზეგნის მიმართ, რომ ამ რეგიონებში ეთნიკური ქართველები უმცირესობაში არ იყვნენ?

- ამ რეგიონების მიმართ, სამთავრობო ყურადღების შესუსტების პარალელურად, შესუსტდა მეცნიერების ყურადღებაც. ქართული ეთნიკური გარემოს შექმნა მეცნიერებაზე ნაკლებადაა დამოკიდებული. სხვა საკითხია, რამდენად ითვალისწინებს ხელისუფლება მეცნიერების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლა-პანსიონის როლსა და დღეს არსებულ ვითარებაზე რა კომენტარს გააკეთებთ?

- არ ვარ ჩახედული ამ საქმეში, შესაბამისად, ვერც კომენტარს გავაკეთებ.

- არქივებში დაცული და დღემდე საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტები გამოამზეურეთ...

- ევროკავშირის სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობამ შესაძლებლობა მომცა, თვეობით მეცხოვრა ევროპისა თუ აზიის სხვადასხვა ქვეყანაში. ვცდილობდი, ეს დრო ეფექტურად გამომეყენებინა არა მარტო სამეცნიერო გრანტით გათვალისწინებული პრობლემების კვლევისათვის, არამედ საქართველოს შესახებ უცხოეთის არქივებში დაცული დოკუმენტების შესწავლისა და მათი ასლების შემოტანისათვის. შესაბამისად, კოლექციების სახით შემოვიტანეთ საარქივო დოკუმენტები სოფიის და ბლაგოევგრადის (1000-ზე მეტი ოსმალური დოკუმენტი, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი), გრაცის (ავსტრია, ხანმეტი ძეგლები, სომხურ-ქართული პალიმფსესტი), ოდესის, ბაქოს, ერევნის არქივებიდან. საინტერესო მასალები გამოვლინდა ერევნის არქივში, რომელიც ეხება სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო დავის საკითხებს, ტერიტორიულ პრეტენზიებს, მათ შორის, ხატისიანის პროექტს. ეს მასალები ვთარგმნეთ და დაიბეჭდა ჟურნალ „არხეიონში“.

- ახალგაზრდების დამრიგებლისა და დამკვალიანებლის როლს როგორ ითავსებთ?

- მე გახლავართ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი. შესაბამისად, დამრიგებლის ფუნქციის შესრულება პროფესიულ მოვალეობად მიმაჩნია.

- დოქტორანტი, რომელმაც თავი დაგამახსოვრათ.

- ჩემი ხელმძღვანელობით არაერთმა დოქტორანტმა მოიპოვა სამეცნიერო თუ აკადემიური ხარისხი. მათგან გამოვყოფდი ნანი ფუტკარაძეს, წარჩინებულ და წარმატებულ ადამიანს, საუკეთესო ადამიანური თვისებებით გამორჩეულ ქალბატონს, სამი შვილის დედას, რომელიც წარმატებით ართმევს თავს როგორც პედაგოგიურ, ისე საარქივო საქმიანობას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

- პირად ცხოვრებაში აუსრულებელ ოცნებად რა გრჩებათ?

- ოცნება ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება. როგორც კი ოცნება კვდება, ადამიანის ცხოვრებაც კარგავს აზრს.

- ინტერვიუს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულზე ვიწერთ. 105 წლის წინ აღდგენილი დამოუკიდებლობა ერმა მალე დაკარგა და 1991 წელს ისევ დაიბრუნა. ასეთი საფრთხის წინაშე რომ არ დავდგეთ, რას გვთავაზობთ?

- საქართველოს ესაჭიროება განვითარების მყარი გარანტიები. ესაა ევროპული მომავალი. სხვა გზა ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია. ძალიან კარგია, რომ ეს დაფიქსირებულია კონსტიტუციაში. ამავე დროს, საქართველო უნდა გახდეს საჭირო სხვებისთვის, ქვეყანამ ფუნქცია უნდა შეიძინოს. გაზსადენები, ნავთობსადენები, ტრანსკავკასიური კომუნიკაციები, რკინიგზები სწორედ ამ ამოცანას ემსახურება. ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის პროექტები კიდევ უნდა გაგრძელდეს

- ისტორიას ადამიანები წერენ და პირად მოსაზრებებს, აზრებს გვთავაზობენ. საქართველოს უახლესი ისტორია რომ არ გაყალბდეს, რაა მთავარი?

- ზოგჯერ თავად ვუწყობთ ხელს ისტორიის გაყალბებას, გაზვიადებულად წარმოვაჩენთ ამა თუ იმ მოვლენას. ერთ დროს ქართველებს ლამის ღვთის რჩეულ ერად წარმოგვედგინა თავი. ამ დროს, უბრალოდ, ქუჩაში მოძრაობის წესებიც კი არ ვიცით, ნაგვითაა სავსე მრავალსართულიანი შენობების ეზოსადარბაზოები. კიდევ ბევრი სხვა რამის თქმა შეიძლება. ქვეყნის სიყვარული ლამაზი სადღეგრძელოები არაა. ქვეყნის სიყვარულია კანონების, ტრადიციების პატივისცემა. ქვეყნის სიყვარულია დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტაში თითოეული ადამიანის მონაწილეობა (სამწუხარო რეალობაა: საქართველოში ბოლო წლებში უფრო მეტი კვდება, ვიდრე იბადება) და მრავალი სხვა. ჩვენთვის ჩვეული სიზარმაცე არ მოდის თანხვედრაში სამშობლოს სიყვარულთან. ისტორიის გაყალბება რამდენადმე ამ ფაქტორებთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული. ქართველებს არ გვჭირდება ისტორიის გაყალბება. დღემდე რომ მოვაღწიეთ და არ გავქრით მსოფლიო რუკიდან, ეს არის ნამდვილად დიდი მიღწევა და საამაყო თითოეული ქართველისთვის.

- მეცნიერულ ნაშრომებს, ეთნოგრაფიულ ნარკვევებს ყოველწლიურად ახალი შენაძენებით ამდიდრებთ. რა სიახლეებს ველოდოთ?

- ვმუშაობთ თურქეთის საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის საკითხებზე. ვამუშავებთ საარქივო დოკუმენტებს. მალე დაიბეჭდება „დემონოლოგიური და საყოფაცხოვრებო შინაარსის წყევლა-გინების ფორმულები აჭარის მოსახლეობის ყოფაში“.

უკრაინა

უკრაინაში დაბრუნდა 371 ბავშვი, რომლებიც ომის პერიოდში რუსეთში იყვნენ დეპორტირებულები, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინაში ბავშვთა უფლებების ცენტრის გახსნისას. უკრაინაში ამუშავებულია გეგმა „დააბრუნეთ ბავშვები უკან - უკრაინაში“, რომელიც ხელისუფლების, პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით მოქმედებს რუსეთის მიერ დეპორტირებული ბავშვების დასაბრუნებლად. უკრაინის ხელისუფლების მონაცემებით, რუსეთის ძალებმა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან 20 ათასამდე ბავშვი წაიყვანეს.

* * *

გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, თავდაცვის ფარგლებში, უკრაინას აქვს უფლება, ძალა მის საზღვრებს გარეთაც გამოიყენოს. ამგვარად გამოეხმაურა ჯეიმს კლევერლი 30 მაისის დილით მოსკოვზე დრონების თავდასხმას. „უკრაინას აქვს თავდაცვის ლეგიტიმური უფლება საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მაგრამ აქვს უფლება, მოახდინოს ძალის პროვოცირება საზღვრებს მიღმაც, რათა ძირი გამოუთხაროს რუსეთის შესაძლებლობას, მოახდინოს ძალის პროეცირება უკრაინაზე“, - განაცხადა კლევერლიმ. გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ ლეგიტიმური სამხედრო სამიზნეები უკრაინის საზღვრებს მიღმა უკრაინის თავდაცვის უფლების ნაწილია და ეს ყველამ უნდა აღიაროს.

* * *

შეერთებული შტატები უკრაინას სამხედრო დახმარების ახალ, 300 მილიონი დოლარის ღირებულების პაკეტს სთავაზობს, - ამის შესახებ „ამერიკის ხმა“ პენტაგონის წყაროზე დაყრდნობით წერს. ახალი პაკეტი, სხვა შეიარაღებასთან ერთად, მოიცავს Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემების და HIMARS-ის რაკეტებს, ტანკების საბრძოლო მასალასა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღს. გარდა ამისა, აშშ კიევს გადასცემს უმართავ Zuni-ს რაკეტებს, რადარით მართვად AIM-7-ის „ჰაერი-ჰაერი“ რაკეტებს, ასევე Avenger-ის საჰაერო თავდაცვის და Stinger-ის გადასატან საზენიტო სისტემებს. ამ პაკეტით გათვალისწინებული აღჭურვილობა გაიცემა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, აშშ-ის მარაგებიდან, კონგრესის თანხმობის გარეშე. ამერიკამ უკრაინის დახმარების ბოლო, 375 მილიონი დოლარის ღირებულების პაკეტი 21 მაისს გამოაცხადა. პენტაგონის ცნობით, რუსეთის სრულმასშტაბიანი ინტერვენციის დაწყებიდან, შეერთებულმა შტატებმა უკრაინას უკვე $36,9 მილიარდი ღირებულების სამხედრო დახმარება გადასცა.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ ოსლოში ნატოს 31 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვედრის წინ მიმართა. ამის შესახებ მან Twitter-ზე დაწერა. კულებას თქმით, ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების წინაშე გამოსვლისას მან გამოაცხადა „სამი ნაბიჯი ვილნიუსის სამიტის წარმატებისთვის“. „გააძლიერეთ ინსტიტუციური კავშირები და დახმარება უკრაინასა და ნატოს შორის. გადადგით ნაბიჯი უკრაინის ნატოში გაწევრიანებისკენ. უზრუნველყავით უსაფრთხოების გარანტიები უკრაინისთვის ნატოსკენ მიმავალ გზაზე“, - თქვა მან. მოსალოდნელია, რომ ნატოს მომავალი სამიტის დღის წესრიგს საგარეო საქმეთა მინისტრები ოსლოში გამართულ შეხვედრაზე განიხილავენ. ნატოს სამიტამდე უკრაინის გრძელვადიანი უსაფრთხოების გარანტიების შესაქმნელად სხვადასხვა იდეა გაჩნდა, მათ შორის უსაფრთხოების გარანტიების „ისრაელის“ მოდელით გაცემა ან უკრაინა-ნატოს ახალი საბჭოს შექმნა. დღის წესრიგში ასევე არის კიევისთვის ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტის გაფართოება, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის შეიარაღებული ძალების დახმარებას, რომ ჩაანაცვლოს საბჭოთა ეპოქის დოქტრინები, შეიარაღება და სტანდარტები. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა კიდევ ერთხელ გამორიცხა რუსეთთან სრულმასშტაბიანი ომის დროს უკრაინის ნატოში შესვლის შესაძლებლობა.

* * *

რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის საზღვარზე რუსეთმა გზა ააფეთქა. „სამი დის“ ძეგლთან მომხდარი აფეთქების ვიდეო რუსულმა პროსამხედრო ტელეგრამარხებმა გამოაქვეყნეს. რუსი პროსახელისუფლებო ბლოგერები აფეთქების მიზეზად უკრაინის ტანკებისთვის გზის შეზღუდვას ასახელებენ. ინფორმაცია უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელმა ანდრეი დემჩენკომ დაადასტურა. „უკრაინსკაია პრავდასთვის“ მიცემულ კომენტარში მან დააკონკრეტა, რომ გზა ააფეთქეს 30 მაისს. მისი თქმით, რუსეთმა გზა, სავარაუდოდ, იმის შიშით ააფეთქა, რომ უკრაინა შეტევას წამოიწყებდა ბრიანსკის რეგიონულ ცენტრზე, „მაგრამ უკრაინა არ არის აგრესორი, ჩვენი სახელმწიფო თავს იცავს. ჩვენ არ გვჭირდება ბრიანსკი“, - განაცხადა უკრაინის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელმა.

* * *

უკრაინაში მოქმედი ეთნიკური რუსებით დაკომპლექტებული რუსული ლეგიონი მოსკოვზე შეტევისთვის ათასობით რუსის მიმხრობას გეგმავს. ამის შესახებ ლეგიონის ერთ-ერთმა ლიდერმა ბრიტანულ The Times-თან ინტერვიუში განაცხადა. „ჩვენ სერიოზული შესაძლებლობები გვაქვს, გვაქვს ტყვია-წამალი, ჯავშანტექნიკა, Stinger-ის ტიპისა და ანტისატანკო რაკეტები, ასევე ეფექტური დაზვერვა დრონების მეშვეობით“, - ამბობს გამოცემასთან საუბარში ლეგიონის ლიდერი. მისი თქმით, ამ დროისთვის ლეგიონში 1000-მდე მებრძოლია გაწევრიანებული. „ჩვენ არ ვართ კრიმინალები ან კერძო სამხედრო კომპანია, როგორც „ვაგნერი“. ჩვენ ყველანი რუსეთის მოქალაქეები ვართ, ზოგიერთი ჩვენგანი გასულ წლებში ЗСУ-ს რიგებში მსახურობდა“. ლეგიონის ლიდერი ამბობს, რომ მათი მიზანი უკრაინის დაცვა, ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება და რუსეთში ვლადიმერ პუტინის რეჟიმის დამხობაა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ნებოძირიდან – ძმაგულაში, ანუ ერთი სამოთხიდან – მეორეში...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქეთევან ტალახაძე *ზემო იმერეთის სოფელ ნებოძირშია დაბადებული. პედაგოგის პროფესიამ, არჩეული სპეციალობისადმი ერთგულებამ იგი სხალთის ხეობის სოფელ ძმაგულაში ჩამოიყვანა.*

- ქალბატონო ქეთევან, ისტორიას შემორჩა იმათი გვარ-სახელები, რომლებიც წინა საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული აჭარაში პედაგოგებად მუშაობდნენ. მათ რიგებში იმერეთის რეგიონის წარმომადგენლებიც იყვნენ...

- ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჭარის მაღალმთიანეთი განსაკუთრებით განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, რაც დღეს მეტწილად გამოსწორებულია. იმ პედაგოგებს, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ და აქ მუშაობდნენ, საშვილიშვილო საქმე აქვთ გაკეთებული. მათი დახმარებით მომზადდა ნიადაგი, რომ მასწავლებლის პროფესია უფრო პოპულარული გამხდარიყო. იმ დროს მათი მუშაობა გმირობის ტოლფასი იყო. ვიცი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მოვლინებული პედაგოგების როლს არ ივიწყებს. მინდა ისე ვიმუშაო, რომ გარკვეული წლების შემდეგ, ჩემზეც ასეთი სიყვარულით ისაუბრონ.

- როგორ აღმოჩნდით სხალთის ხეობის სოფელ ძმაგულაში?

- ძმაგულაში 2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრიდან ვარ. აქ შედგა ჩემი პედაგოგიური ნათლობა. მასწავლებლის პროფესია მას შემდეგ ავირჩიე, რაც ცნობიერება ჩამომიყალიბდა. ამ მიზნის მისაღწევად, წარჩინებით ვსწავლობდი. ყოველ წელს ველოდებოდი თვითმმართველობის დღეებს, რომ დროებით ჩემი კლასელების მასწავლებელი გავმხდარიყავი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატიც წითელ დიპლომზე დავასრულე. ვიყავი პრეზიდენტის სტიპენდიატი, თუმცა, ბედის ირონიით, სწავლის დასრულებისთანავე მომიწია ქვეყნის დატოვება და კარიერულ წინსვლაში დავბრკოლდი. დაბრუნებისთანავე გავაქტიურდი, გავიარე მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (SANGU). მისი დასრულებისთანავე, დავიწყე ვაკანსიების ძებნა. შესაძლოა გაგიკვირდეთ, მაგრამ დედაქალაქის და ჩემი რაიონის ვაკანსიებით ნაკლებად ვიყავი დაინტერესებული. გაცნობიერებული არჩევანი იყო, წავსულიყავი მშობლიური გარემოდან შორს, გავცნობოდი ახალ საზოგადოებას და ჩემი შესაძლებლობების გამოვლენა უცხო გარემოში დამეწყო. თავგადასავლების მაძიებელიც ცხოვრობს ჩემში.

- ის, რაც წარმოდგენაში გქონდათ, რეალობას შეესაბამება?

- ხშირად ვამბობ, რომ „გაგონილს ნანახი სჯობია“... გაგონილი მქონდა აჭარის მკვიდრთა სტუმართმოყვარეობის, საოცარი ბუნების შესახებ, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

- ვინ იყო დამხვდურთაგან პირველი, რომელმაც მეგობრობა შემოგთავაზათ?

- ეს იყო მთელი სასკოლო საზოგადოება, მაგრამ განსაკუთრებით აღვნიშნავ მშვენიერ ახალგაზრდა ქალბატონ ხათუნა ასლანიძეს (ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგი), რომელმაც მასპინძლობა შემომთავაზა. მე მათთან სტუმარი არ ვყოფილვარ, პირველივე წუთებიდან ოჯახის წევრად მაგრძნობინეს თავი. ჩემთვის ძმაგულაში გატარებული დრო დაუვიწყარ მოგონებად დარჩება. ვიმახსოვრებ თითოეულ წამს, წუთს. შეუდარებელი სტუმართმოყვარეობა, კეთილგანწყობა, ზრუნვა და ყველაფერი პოზიტიური. ძმაგულა აჭარის მთებში ჩამალული მარგალიტია.

- ოჯახი როგორ შეეგუა თქვენს ძმაგულაში მასწავლებლად წამოსვლას?

- სიმართლე გითხრათ, საკმაოდ ძნელად. პირველ რიგში, იმიტომ, რომ შორს ვიყავი და ჩემს რაიონში სამ თვეში ერთხელ ჩავდიოდი. პრობლემა იმდენად გზა არ არის, რამდენადაც სამუშაოს მრავალფეროვნება. იმისთვის, რომ იყო კარგი მასწავლებელი, მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო ბავშვებისთვის. ამიტომ, ვამჯობინებდი ადგილზე ყოფნას და დასვენების დღეებში კლასგარეშე მუშაობას. ჩემებიც შეეგუენ ამას, რადგან იციან, რა კარგ გარემოშიც ვცხოვრობ და ვმუშაობ. მშობლები და ოჯახის წევრები მესტუმრნენ და თავისი თვალით ნახეს ყველაფერი.

- სხვა სოფელში ზედმეტი საათობრივი დატვირთვა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?

- ჩემთვის ხელფასი არ არის პრიორიტეტი. პრიორიტეტია ვიყო კარგი მასწავლებელი და გავიზარდო პროფესიულად, ვუყვარდე ჩემს მოსწავლეებს. ამისთვის კი ბევრი მუშაობაა საჭირო. ზოგადად, არ მიყვარს ზერელე მუშაობა. საქმეს თუ ვაკეთებ, სიღრმისეულად ვაკეთებ. ამიტომ გადაჭრით ვამბობ: უარს ვიტყოდი - მოგეხსენებათ, „ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დიჭერს“...

- ქალიშვილისთვის ყველაზე დიდი ვალია, გახდეს დედა. ეს დრო შორსაა თუ...

- თანდათან ახლოვდება, მაგრამ რაღაც ვადით ოჯახის შექმნისგან თავს ვიკავებ. ამაზე ჩემს რჩეულთანაც შეთანხმებული ვარ.

- ამბობენ, სიყვარულს მალვა უყვარსო. 21-ე საუკუნის გოგონა ამ შეგონებას თუ იზიარებთ?

- აბსოლუტურად ვიზიარებ... სიყვარულს ვნებს ბევრი თვალი და ყური. ჩემი თხოვნაა, სტატიაში გაკვრით ახსენოთ ეს ამბავი. ჩემი მოსწავლეები არ შეაშინოთ - მათ იციან, რომ ჯერ არ ვაპირებ გათხოვებას და ძმაგულადან წასვლას.

- ძმაგულას მეჩეთში უცხო ენაზე ლოცულობენ, ცოტა მოშორებით სხალთის ტაძრის ზარები რეკს. ეს ვითარება, ისტორიის მასწავლებელს, მოსწავლეებთან რა ფორმებითა და ხერხებით მიგაქვთ?

- მათ სულ იმას ვასწავლი, რომ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის რელიგიას, ვიყოთ შემწყნარებლები. ბავშვებს ღრმად აქვთ გააზრებული, რომ აჭარის რელიგიური სურათი ისტორიულმა წარსულმა და ამ კუთხის მძიმე ხვედრმა განაპირობა. ვასწავლი, რომ იყვნენ ტოლერანტები. ვცდილობ, ამის მაგალითებიც მივცე და ყველა შესაძლებლობა გამოვიყენო. ერთ-ერთი ბოლო აქტივობა გვქონდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული წრის ფარგლებში - გასვლითი ტური დიდაჭარა-ღორჯომის ხეობაში. მოვინახულეთ ჯერ ღორჯომის მეჩეთი, ხოლო შემდეგ დიდაჭარა, სადაც პირველად დაინთო საქართველოში ქრისტიანობის ლამპარი.

- ტაძარში მოსალოცად თუ დადიხართ?

- ძირითადად, რელიგიური დღესასწაულების დროს ვახერხებ ძმაგულიდან სხალთაში ჩასვლას. სამწუხაროდ, მოძღვარი აქ არ მყავს, რადგან რეგულარულად ვერ დავდივარ წირვაზე. ჩემი მასპინძელი, ბატონი როსტომი სულ მეუბნება - არ მოგერიდოს, ნებისმიერ დროს ჩაგიყვან სხალთაშიო, მაგრამ მაინც მერიდება... დროის ფაქტორიცაა.

- რამდენად მისაღებია თქვენთვის ისტორიის ის სახელმძღვანელო, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ და რომელშიც ძალიან ცოტა მასალაა შეტანილი აჭარის შესახებ?

- გასული სასწავლო წლიდან დაიწყო ისტორიის სახელმძღვანელოების ცვლილება. მომავალი წლიდან, განახლებული XI-XII კლასების სახელმძღვანელოები იქნება, სადაც ცალკე საქართველოს და ცალკე მსოფლიო ისტორიის საკითხები იქნება შეტანილი. ვიმედოვნებ, დღევანდელი ნაკლოვანება გამოსწორდება და უფრო ღრმად შეეხებიან არა მარტო აჭარის, არამედ სხვა კუთხეების ისტორიებსაც.

- თქვენი აზრით, ვინ არის დამნაშავე ამაში?

- ვინმეს დადანაშაულებიდან თავს შევიკავებ. ამ საკითხში ყველაა დამნაშავე და ამავე დროს - არავინ. არ ღირს საკითხის გამწვავება და ჭრილობებზე მარილის დაყრა. დღეს არსებული პრობლემები ყველა ჩვენგანის მცდელობით უნდა გადაიჭრას. არ არის აუცილებელი ამის გაკეთება მხოლოდ სახელმძღვანელოების დონეზე. ორმხრივი ურთიერთობები და ხშირი შეხვედრები პრობლემებს მოაგვარებს. აქამდეც ვფიქრობდი და ახლა უფრო გავაქტიურდები იმ კუთხით, რომ განვახორციელო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ვითანამშრომლებ ხულოს რაიონის რამდენიმე სკოლასთან, ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების სკოლებთან. შესაძლებელია ერთობლივი კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება. ხან აქაური სკოლების წარმომადგენლები გავალთ და ვესტუმრებით სხვა რეგიონების სკოლებს, მათაც მოვიწვევთ და ასე ნელ-ნელა მოხდება ცნობიერების ამაღლება. ასე რომ, გამოსავალი ყველაფრიდან არის, მთავარია მონდომება.

- დღიურების შესადგენად დროს თუ „იპარავთ“?

- მისი „მოპარვა“ არ დამჭირდა, რადგან აქაური თითოეული დღე და მომენტი ისედაც შთამბეჭდავია და დეტალურად ილექება „ისტორიკოსის მეხსიერებაში“. როგორც იტყვიან: „აქედან ვერ ამოშლი“. ჩემს კომპეტენციაში ცოტა ეჭვი მეპარება, მაგრამ ვცდი, რომ ყველაფერი წიგნის ფურცლებზე გადავიტანო.

- სწავლა - სიბერემდეო... რა გზებს ეძებთ სტატუსის ასამაღლებლად?

- გეთანხმებით, სწავლა სიბერემდეა. როგორც კი მასწავლებელი შეწყვეტს თავისი სწავლისა და განვითარების პროცესს, მას აღარ აქვს მორალური უფლება საკუთარ თავს უწოდოს „მასწავლებელი“, განსაკუთრებით ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც უსწრაფესად უნდა ავუწყოთ ფეხი. სიახლეებს. სტატუსის ასამაღლებლად, პირველ რიგში, გავაგრძელებ უწყვეტ განათლებას, როგორც თეორიულს, ასევე პრაქტიკულს (ტრენინგები, სემინარ-ვებინარები, გამოცდები... მივყვები სქემით გათვალისწინებულ მოთხოვნებს). ყოველდღიურად მივიღებ ახალ გამოცდილებას. მე, როგორც ახალგაზრდა პედაგოგი, უაღრესად ბევრს ვსწავლობ კოლეგებისგან. ისინიც დაუზარებლად მეხმარებიან. მნიშვნელოვანია, ჩემი მოსწავლე იყოს წარმატებული და დავინახო მისი გაბრწყინებული თვალები. ეს იქნება ჩემთვის უპირველესი სიამოვნება და სტატუსი.

- ზოგიერთები მოდიან და უმალვე გაქცევაზე ფიქრობენ. მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების შემდეგ თქვენ რას აპირებთ?

- ვერ წარმომიდგენია, აქედან გაქცევის სურვილი როგორ უნდა გაგიჩნდეს ადამიანს. ჯერ მარტო აქაური ბუნება და სუფთა ჰაერი რად ღირს. მერე ხალხი და მათი სტუმართმოყვარეობა. ზაფხულის არდადეგებს ჩემს მშობლიურ მხარეში გავატარებ. ახლა იქაური ემოციებით დავიტვირთები, სექტემბრიდან დავუბრუნდები ჩემს ბავშვებს და მაქსიმალურად დავიხარჯები მათთვის.

> ***„ვინმეს დადანაშაულებიდან თავს შევიკავებ. ამ საკითხში ყველაა დამნაშავე და ამავე დროს - არავინ. არ ღირს საკითხის გამწვავება და ჭრილობებზე მარილის დაყრა. დღეს არსებული პრობლემები ყველა ჩვენგანის მცდელობით უნდა გადაიჭრას. არ არის აუცილებელი ამის გაკეთება მხოლოდ სახელმძღვანელოების დონეზე. ორმხრივი ურთიერთობები და ხშირი შეხვედრები პრობლემებს მოაგვარებს“***

ბსუ-ის ინფორმაციით...

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, ბსუ-ის რექტორ მერაბ ხალვაშთან, ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანსა და ბსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ მერაბ დიასამიძესთან ერთად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეაბილიტირებული ეზო დაათვალიერა და იქ მყოფ სტუდენტებს გაესაუბრა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ასევე გაეცნო ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

„შესრულებული სამუშაოების ფარგლებში, უნივერსიტეტის ეზოში მოეწყო რეკრეაციული ზონები, დაირგო 200-ზე მეტი სახეობის მცენარე, განთავსდა სხვადასხვა ფორმის სკამები და გაკეთდა ჭადრაკის დაფა. განახლდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, შეიცვალა ფილები და ბორდიურები. უნივერსიტეტის ეზოში მალე გაიხსნება ახალი სტუდენტური კაფე, ხოლო ლეონიძის ქუჩაზე სტუდენტური საცხოვრებლის და სამედიცინო მიმართულებისთვის თანამედროვე სტანდარტების ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა დაიწყება.

მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები აჭარის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

მამია ხარაზი – ჩვენი კუთხის ღირსეული შვილი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

არიან ადამიანები, რომლებიც ისე მოდიან და მიდიან ამ ქვეყნიდან, რომ კვალს არ ტოვებენ, ბევრი კი პირიქით, ისე მოღვაწეობს, რომ მათი კვალი ნათელი, თაობებს მოჰყვება. მათ რიცხვშია ჩვენი კუთხის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი მამია ხარაზი

პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, დახვეწილი ინტელიგენტი, გამორჩეული პიროვნება გახლდათ. სამი უმაღლესი დაამთავრა - მოსკოვში, სოხუმსა და ბაქოში, სამივე წითელ დიპლომზე. ეს იყო წიგნზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ბიბლიოფილი გახლდათ, ერთ-ერთი უმდიდრესი და უნიკალური ბიბლიოთეკის მფლობელიც იყო. მამია ხარაზი მწერლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას იკვლევდა. ერთ მის ნათქვამს გავიხსენებთ: „არის მცნებები, რომლებიც თავისთავად მატერიალურ ფასეულობებს არ წარმოადგენენ, მაგალითად, სინდისი, ნამუსი, კაცობა, ღირსება, სამშობლო, მაგრამ... მათ მფლობელებს აქვთ საშუალება, ეს გაჰყიდონ და აქციონ მატერიალურ სიმდიდრედ... დღევანდელ საქართველოში ასეთები ჭარბად არიან“.

მამია ხარაზი წერდა შინაარსიან და თბილ ლექსებს, რამდენიმე მათგანზე სიმღერაა შექმნილი. მის ბიბლიოთეკაში დღესაც ინახება შთაბეჭდილებების წიგნი, რომელშიც არაერთ ცნობილ პიროვნებას აქვს გაკეთებული ჩანაწერი. დღეს ეს წიგნი გამორჩეული სახსოვარია. აქვე ინახება ცნობილი პოეტებისა და მწერლების ნაჩუქარ წიგნებზე გაკეთებული ავტოგრაფები. რამდენიმე ჩანაწერს მოგაწვდით: „ძმაო, მამია, ვიდრე ჩემს სქელტანიან შრომას გამოგიგზავნი, რომელზედაც მუშაობა ჯერჯერობით, შეფერხებულია ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით, ამ სიფრიფანა წიგნაკით უნდა დავაკმაყოფილო შენი ხარბი და გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობა. ძმური სიყვარულით, შენი თენგიზი (აბულაძე), 1995 წელი“. „კარგ ქართველს, მამია ხარაზს, მუხრანი, 1976 წელი“), „მამია ხარაზს, მადლობის გრძნობით, მურმან ლებანიძე, 1979 წელი“. „დიდად პატივცემულ მამია ხარაზს, ჩინებულ ქართველ მამულიშვილს, კარგ ვაჟკაცსა და მოღვაწეს, ქართული ლიტერატურისადმი მისი სანიმუშო სიყვარულის აღსანიშნავად, გულითადობითა და კეთილი სურვილებით, გიორგი ციციშვილი“, „მამიას ვუსურვებ დიდ წარმატებებს, დიდ გამარჯვებებს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ირაკლი აბაშიძე, 1971 წელი“, „მამია ხარაზს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, შოთა ნიშნიანიძე“, „მამია ხარაზის ჭერქვეშ შეკრებილი გენიოსები... ეს ჩემი სახლიცაა... ჩვენი სახლი და კერა, თქვენი საიმედო ბინა იყოს. ხანდახან მეც შემოვიხედავ, მომაშუქეთ შუქი თქვენი, ფრიდონ ხალვაში, 1983 წელი“, „ძვირფასო მამია, გისურვებ წარმატებებს დიდ საქმეში, რომელსაც შენ აკეთებ, შენი წიგნადი სიმდიდრე ფასდაუდებელია. აკადემიკოსი ვიქტორ აფანასიევი“... აქ უამრავი საინტერესო და ცნობილი ადამიანის ხელწერაა, მათ შორის არიან მანანა ასათიანი (ლადო ასათიანის შვილი), დევი სტურუა, ლევან თოიძე, გივი მინდელი, პაატა ბურჭულაძე...

- ჩემი სიყრმის მეგობარი იყო მამია. უაღრესად კეთილშობილი, გულწრფელი, პატიოსანი, ზნეობრივი, ადამიანებთან ურთიერთობაში გამორჩეული, სიკეთის მკეთებელი, სულ სხვაზე ზრუნავდა. იშვიათად საუბრობდა თავის ღვაწლზე. ამას ჩვენ ვხედავდით, ვგრძნობდით. მის კაბინეტში დილამდე ენთო შუქი, სულ მუშაობდა, - გვითხრა სულიკო ინაიშვილმა.

- უაღრესად დიდ პატივს ვცემდი მამია ხარაზს. ის იყო ბრწყინვალე ლიტერატორი, ბიბლიოფილი, მისი ავტორობით გამოცემული წიგნების გაცნობის შემდეგ, ვთვლი, რომ ეს წიგნები (მარინა ცვეტაევასა და ანა ახმატოვაზე) ნებისმიერი სამეცნიერო ხარისხის ღირსია, ისე ღრმადაა გამოკვლეული მათი შემოქმედება. სიამოვნებით ვურედაქტორე მამიას მიერ გამოცემულ წიგნს „სონეტები“. როგორც პიროვნება და ადამიანი, იყო შეუდარებელი, საუკეთესო მეგობარი, მეოჯახე, სამშობლოს პატრიოტი, გულგახსნილი მამულიშვილი. მას ბევრჯერ ვსტუმრობდი როგორც სახლში, ისე სამსახურში. როცა „გამომცემლობა აჭარას“ ვხელმძღვანელობდი, შეხვედრაც მოვუწყვე. ის დიდი და გულუხვი ქველმოქმედი იყო, - ასე მოიგონა აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძემ ბატონი მამია.

- უბრწყინვალესი პიროვნება გახლდათ. ყველას გვერდით ედგა და მათ შორის მეც. თუ ვინმე სტუმარი გვყავდა, მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო. მასთან ძალიან დიდი მეგობრობა და სიყვარული მაკავშირებდა. მისი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესო იყო. დღესაც ვამაყობ ბატონ მამიასთან მეგობრობით, - თქვა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ოფისის მენეჯერმა ჩიტო ომერაძემ.

აქვე გთავაზობთ ჩვენი საამაყო პოეტის ზურაბ გორგილაძის ლექსს, რომელიც მან მამია ხარაზს მიუძღვნა:

„...როდესაც ცაში ვარსკვლავი კვდება -
სადღაც სნეული ქალწული ტირის,
- როდესაც კლდეში რაინდი კვდება - ლოდად
ქცეული ყორანიც ტირის,
- როდესაც გვარის პატრონი კვდება - ცხენიც
ტირის და ქოფაკიც ტირის,
- როდესაც ვაზის ტირილი კვდება, ფინთად
ფხიზელი ბახუსიც ტირის,
- როდესაც ველზე ყვავილი კვდება,
ზმანებისხელა პეპელაც ტირის,
- როდესაც შტერი ხელმწიფე კვდება,
მხოლოდ და მხოლოდ ჯალაბი ტირის,
- როდესაც ბრძენი ხელმწიფე კვდება,
გაოგნებული დუშმანიც ტირის,
და ეფინება სამეფოს მისას მისი ჭკვიანი
გვირგვინის ჩრდილი...
მაგრამ როდესაც პოეტი კვდება, ხალხიც
ტირის და ქვეყანაც ტირის“.

ნათელი დაუმკვიდროს უფალმა მის სულს.

ძაღლების კანონდამრღვევი მეპატრონეებისთვის პასუხისმგებლობა მკაცრდება

პარლამენტმა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებას პირველი მოსმენით, 80 ხმით მხარი დაუჭირა. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ მეპატრონეებისთვის, რომლებიც ძაღლის ღია სივრცეებში, მათ შორის, ბულვარში, პარკსა და სკვერში გასეირნების წესებს დაარღვევენ, ანუ ძაღლს საბელის ან ალიკაპის გარეშე გაიყვანენ, ჯარიმა გაეზრდებათ - 20 ლარის ნაცვლად 150 ლარის გადახდა მოუწევთ.

წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 300 ლარით წინანდელი 50 ლარის ნაცვლად.

კანონპროექტი ასევე შეეხება თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნას, გარდა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა. აღნიშნული ქმედება გამოიწვევს პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა - პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

ამირან გურიელიძე

საჯარო ინფორმაცია

საქმე №01-10/176

დადგენილება

საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 22 მაისი, 2023 წელი

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრი: როსტომ გუნთაიშვილი

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“ (ს/ნ 445516102) (დირექტორი - მამუკა მიქელაძე), **წარმომადგენელი:** ადვოკატი არჩილ ჯორთმენაძე (პ/ნ 61006015254), თანახმად მინდობილობისა, გაცემული ერთი წლის ვადით, 2023 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

საარბიტრაჟო მოპასუხე: მოვალე, მსესხებელი: შპს „შორენას ტკბილეულობა“, (ს/ნ 445595179), დირექტორი, იგივე სოლიდარულად ვალდებული პირი: შორენა ჭადალიძე (61001075514);

სოლიდარულად ვალდებული პირი: ფ/პ ზელიხა ჭადალიძე (პ/ნ 61002019166).

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის მოპასუხეებზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

ერთპიროვნულად განვიხილე საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მის საჯაროდ მოწვევის შესახებ“.**

აღწერილობითი ნაწილი:

2023 წლის 24 აპრილს **შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრმა** როსტომ გუნთაიშვილმა მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. არბიტრაჟის რამდენიმე მცდელობა მოპასუხეებს ჩაბარებოდათ საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, დასრულდა უშედეგოდ. ყველა დაზღვეული საფოსტო გზავნილი, იმ მისამართზე რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, უკან დაბრუნდა არბიტრაჟში წარწერით „მეზობლის ვახტანგ დიასამიძის განმარტებით ადრესატი აღარ ცხოვრობს მისამართზე“.

2023 წლის 22 მაისს საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მის საჯაროდ მოწვევის შესახებ“,** რაც დაკმაყოფილდა.

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

დავადგინე:

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/176, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებზე შპს „შორენას ტკბილეულობა" (ს/ნ 445595179), (დირექტორი შორენა ჭადალიძე (პ/ნ 61001075514) და სოლიდარულ მოვალეზე: ფ/პ ზელიხა ჭადალიძეზე (პ/ნ 61002019166) საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება;

2. განემარტოს შპს „შორენას ტკბილეულობას“ (ს/ნ 445595179), (დირექტორი შორენა ჭადალიძე (პ/ნ 61001075514) და სოლიდარულ მოვალეს: ფ/პ ზელიხა ჭადალიძეს (პ/ნ 61002019166), რომ წინამდებარე დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან შვიდი დღის განმავლობაში, გამოცხადდეს **შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“** (ქ. ბათუმი, ახ. მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული, საკ. ტელ: 577 78 19 77, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა), საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარბიტრაჟო უწყება, სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ჩაითვლება ჩაბარებულად. საჯარო მოწვევის, საჯაროდ გამოცხადებიდან შვიდი დღის გასვლის შემდგომ;

3. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით;

4. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო
პალატასთან არსებული საერთაშორისო
არბიტრაჟის“ არბიტრი
როსტომ გუნთაიშვილი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზისი აჭარა და ადჭარია» პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 31/05/23, 21 ⁵⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

კრივი მარტო მუშტების ქნევა არაა

კრივის კლუბი „ბათუმი“ 2021 წლის აპრილში ამირან შაშიკაძემ და გოჩა აბაშიძემ დააფუძნეს. წელს საუკეთესო შედეგი აჩვენა ამ კლუბის წევრმა თემურ ქაჯაიამ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ერევანში ჩატარდა, - ევროპის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა 18 წლამდე ასაკის მოკრივეთა შორის

დაარსების დღიდან ამ კლუბის მოკრივეები კარგ შედეგებს აღწევენ და აჭარისა და საქართველოს ნაკრებების წევრები ხდებიან. ამირან შაშიკაძე გოჩა აბაშიძის ყოფილი მოსწავლე, საქართველოს პრიზიორი, აჭარის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. რაც შეეხება გოჩას, ის დანიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალისტია ახალგაზრდებში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ასევე ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე ადგილის მფლობელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირისა და საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებული, არაერთი წელია, თავის გამოცდილებას ბათუმელ მოკრივეებს უზიარებს. იგი, როგორც აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, ცდილობს, პოპულარობა გაუწიოს სპორტის ამ სახეობას. შარშან გოჩა აბაშიძე დასახელებული იყო აჭარის ათ საუკეთესო მწვრთნელთა შორის, ხოლო მისი აღზრდილი ლუკა მაჭუტაძე - ათ საუკეთესო სპორტსმენს შორის.

აჭარაში კრივის ხუთი კლუბია. კლუბ „ბათუმს“ გვერდით უდგას მიხეილ ლისოვსკი, რომელიც არაერთხელ სოლიდური თანხით დაეხმარა და ისევ ეხმარება კლუბს, მაგალითად, ფართის გადასახადის დაფარვაში. მანვე შეუძინა კლუბს ინვენტარი. გარდა ამისა, ის ხელმოკლე ოჯახების შვილებს შეჯიბრებაზე გამგზავრებას უნაზღაურებს, ფინანსურად სხვა მხრივაც ეხმარება. შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ნაკრების წევრებს სპორტის დეპარტამენტი აფინანსებს, ისინი კლუბში უფასოდ ვარჯიშობენ.

მიხეილ ლისოვსკი ბიზნესმენია, რომელიც კრივით ძალიანაა დაინტერესებული და ყველას ეხმარება. თავად უკვე მეათე წელია, ბათუმში ცხოვრობს. მალე მოქალაქეობასაც მიიღებს. ის და ამირან შაშიკაძე მუდამ მოკრივეების გვერდით დგანან და ყველანაირად უწყობენ ხელს, რომ ბიჭებმა კარგი შედეგი დადონ.

კლუბში, რა თქმა უნდა, აჭარის ნაკრების წევრები ვარჯიშობენ, რომელთა შორის არიან ლუკა მაჭუტაძე, გიგი ბერიძე, ნინო ჩიტაძე. აქ 8 წლის ასაკიდან მოდიან მსურველები. ვინც ისეთ შედეგს დადებს, რომ ნაკრებში მოხვდება, მათ გამგზავრებას სხვადასხვა დონის შეჯიბრებაზე სპორტის დეპარტამენტი აფინანსებს. მოკრივეებს აქ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები არტურ ბადალიანი და გელა აბაშიძე ავარჯიშებენ, ასევე მწვრთნელები - დავით დავითიანი, ეკა ბოლქვაძე, გოგი მესხიძე.

გელა აბაშიძე ძალიან გამოცდილი და წარმატებული მოკრივეა. სამწუხაროდ, მას ხელი ტრავმებმა შეუშალა, აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და სამი წელია, ლიცენზირებული მწვრთნელია. თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემს მოზარდებს. შედეგიც სახეზეა, უკვე აღზარდა ევროპის ჩემპიონი და ევროპის ფინალისტიც.

20 ივნისს ბათუმში ტარდება ირაკლი აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. ირაკლი წარმატებული მოკრივე, მწვრთნელი გახლდათ. ხუთი წელი აჭარის კრივის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. არაერთი წარმატებული მოკრივე აღზარდა. სამწუხაროდ, სრულიად ახალგაზრდა ტრაგიკულად დაიღუპა. კრივის ეროვნულმა ფედერაციამ, სპორტის დეპარტამენტმა, აჭარის ფედერაციასთან ერთად, ირაკლი აბაშიძის ტურნირი დააწესა, რომელიც ტრადიციული გახდება. სწორედ ამიტომ ჩვენი ნაკრების უკეთ მომზადებისთვის კლუბ „ბათუმში“ თურქეთის ქალაქ ტრაბზონიდან, ასევე გორიდან მოიწვიეს მოკრივეები. თურქ სპორტსმენებს შორის იმყოფებოდა წელს იაპონიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი - ვერცხლის მედალოსანი ახალგაზრდებს შორის ქერემ ოზდემი. ეს იყო საკონტროლო შეხვედრები. ვინც კარგად გამოიჩინა თავი, სწორედ ის იასპარეზებს ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ირაკლი აბაშიძის ხსოვნის ტურნირზე ბევრი კარგი მოკრივე ჩამოვა და ჩვენებიც მათ სათანადოდ მომზადებულები უნდა დახვდნენ. ღონისძიებაზე მოკრივეებს უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, ბულგარეთიდან და საქართველოს ყველა რეგიონიდან ელოდებიან.

საქართველოს ჩემპიონი კრივში ლუკა მაჭუტაძე ევროპის ჩემპიონატის ფინალისტია ახალგაზრდებს შორის, ის გასულ წელს ევროპის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა 22 წლამდელთა შორის. მისი პირადი მწვრთნელია გოჩა აბაშიძე, რომელთანაც შვიდი წელი ვარჯიშობს. ამბობს, რომ კრივით ტაისონის ბრძოლების ყურების შემდეგ დაინტერესდა, რომელსაც მამა და ბაბუა აყურებინებდნენ და მხოლოდ კლუბში მოსვლის შემდეგ მიხვდა, რომ კრივი მარტო მუშტების ქნევა არაა.

- 28 მაისს სასტუმრო „კოლიზეუმ-მარინას“ საკონფერენციო დარბაზში აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ გოჩა აბაშიძის ინიციატივით აჭარაში მოქმედ კრივის ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც რამდენიმე აქტუალური საკითხი განიხილეს, მათ შორის, აჭარის მოკრივეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და საუკეთესო სპორტსმენტთა გამოვლენის მიზნით თვეში ერთხელ „ღია რინგის“ სახით სხვადასხვა კლუბსა და ჯგუფში მოვარჯიშე მოკრივეებს შორის სპარინგების ჩატარება, ასევე საკლუბო ჩემპიონატის გამართვა.

შეხვედრაზე განიხილეს ირაკლი აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის წინა მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა, წარადგინეს აჭარის კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ერეკლე ქაჯაია, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ფედერაციაში არსებული გამოწვევების დაძლევაში და, საერთოდ, აჭარის რეგიონში კრივის განვითარების რეალურ მხარდაჭერაში.

ბათუმი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება

ბათუმი მაღალი რანგის ღონისძიებას უმასპინძლებს ჭადრაკში - საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ორგანიზებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, რეგიონის სრული მხარდაჭერით, ჩვენთან 5-8 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება სწრაფ ჭადრაკში 8, 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, 9-12 ივნისს კი ელვისებურ ჭადრაკში. ტურნირები შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდება, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

როგორც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ გვითხრა, ღონისძიებაში მონაწილეობას 40 ქვეყნის 500-მდე სპორტსმენი მიიღებს. საქართველოდან, როგორც მასპინძელი ქვეყნიდან, 118 მოჭადრაკე იასპარეზებს, აქედან 21 აჭარის წარმომადგენელი გახლავთ: გაბრიელ მჟავანაძე, საბა სარჯველაძე, მარიამ გოგუაძე, რატი დიასამიძე, ალექსანდრე კალანდაძე, ილია აბულაძე, ნინო ნაკაშიძე, ალინა პასტუშენკო, შოთა დოლიძე, სანდრო გოგუაძე, ნუგზარ ასკეროვი, ნიკოლოზ სარჯველაძე, ანეტა ქედელიძე, დემეტრე გოგიაშვილი, გიორგი გოგიაშვილი, გიორგი ჭანტურია, კესარია მგელაძე, მარიამ ცეცხლაძე, მარიამ კალანდაძე, ლულუ დიასამიძე, თიკო ბერაია.

ტურის მსვლელობისას სათამაშო დარბაზიდან ვიდეოტრანსლირება მოეწყობა, პარტიების განხილვა ყოველდღიურად გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონატს სასტუმრო „Euphoria“ უმასპინძლებს.

ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში ოფიციალურად 6 ივნისს, 14:45 საათზე გაიხსნება, ელვისებურ ჭადრაკში კი იმავე დროს - 10 ივნისს.

ჩემპიონატი საზეიმოდ სასტუმრო „ლეგენდაში“ 11 ივნისს, 20 საათზე, ოფიციალურად დაიხურება.

ვეტერანები სპორტულ ფორმაში არიან

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ სპორტულ ღონისძიებებში ახალგაზრდებს არც ბათუმელი ვეტერანები ჩამორჩნენ და მიუხედავად სოლიდური ასაკისა, სპორტის ხუთ სახეობაში - მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკში, ნარდში, დარტსში მიიღეს მონაწილეობა.

ამ საინტერესო ღონისძიების ინიციატორი ბათუმის სპორტული ცენტრი (დირექტორი - უჩა აბრამიშვილი) და აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია (პრეზიდენტი - შალვა ტაბაღუა) გახლდათ, ხოლო დამფინანსებელი - ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვეს.

ქალთა და მამაკაცთა შორის ჭადრაკში ჩემპიონები გახდნენ მედეა ბიბილეიშვილი და ქაზიმ გორაძე, მაგიდის ჩოგბურთში - აბიბა კადიევა და ოთარ დოჭვირი, ნარდში - მზევინარ ნაკაშიძე და გივი მამულაძე, შაშში - მედეა ბიბილეიშვილი და ჯუმბერ კოკობინაძე, დარტსში - ნინო აბაშიძე და სტანისლავ ბუკო.

თამაშების საუკეთესო მონაწილეებად მედეა ბიბილეიშვილი და დავით არძენაძე დასახელდნენ, რომლებმაც ორჯერ მოიპოვეს საპრიზო სამეულში ადგილი.

გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები, სიგელები და ფასიანი ვაუჩერები.

აღსანიშნავია საპატიო ბათუმელის, 85 წლის შალვა ტაბაღუას დიდი ენთუზიაზმი, რომელმაც ოთხი დღის განმავლობაში ხუთ შეჯიბრებას უმსაჯა და როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

გამარჯვებულებს წარმატება ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მიულოცა.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა